

Green Caucasus	ინფორმაცია სერტიფიცირების შესახებ Information of Certification	კოდი/Code: GC/DM/IC-10.8
----------------	---	-----------------------------



**ინფორმაცია ბიოაგროწარმოების
სასერტიფიკაციო მომსახურების შესახებ**

გადაეცა:

სახელი, გვარი, კომპანიის დასახელება

“___” _____—20—

№—

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 1-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	------------------

Green Caucasus	ინფორმაცია სერტიფიცირების შესახებ Information of Certification	კოდი/Code: GC/DM/IC-10.8
----------------	---	-----------------------------

ზოგადი ინფორმაცია ბიოპროდუქციის სასერტიფიკაციო მომსახურების შესახებ



ორგანიზაციის დასახელება (სავალდებულო):

იურიდიული მისამართი:

ოფისის მისამართი:

ტელეფონი:

ფაქსი:

E-mail:

მენეჯერის სახელი, გვარი:

საკონტაქტო პირი:

“გრინ კაუკაზუსის” სტანდარტი:

“ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშნდების და გასაღების სტანდარტი”, მომავალში “სტანდარტი”.

სერტიფიცირების სფერო:

- A - მემცენარეობა (ველურად მოზარდი მცენარეების ჩათვლით);
- B – მეცხოველეობა, მეფუტკრეობის ჩათვლით
- D - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება
- F - სათესლე და სარგავი მასალის წარმოება

ბატონო/ქალბატონო. _____

დიდ მადლობას მოგახსენებთ კავკასსერტის მიერ შეთავაზებული მომსახურებით დაინტერესებისათვის.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია მიზნად ისახავს, გაგაცნოთ სერტიფიცირების პროცესის განხორციელების წესი, რაც მოიცავს ინსპექტირებას და სერტიფიცირებას.

ინსპექტირება მიზნად ისახავს საწარმოო ერთეულის მართვის წესის სისტემატიურ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ შემოწმება/შეფასებას, რათა დადგინდეს მისი შესაბამისობა სტანდარტთან. ინსპექტირების დროს ხდება მთელი წარმოების პროცესის შეფასება.

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 2-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	------------------

1. ინსპექცია:

- პირველადი შეფასება ტარდება განაცხადის შემოტანის მერე მეწარმესთან ხელშეკრულების დადებამდე. პირველადი შეფასებისას მოწმდება განმცხადებლის შესაბამისობა სტანდარტთან და მართვის გეგმასთან მიმართებაში (დეტალებისთვის იხ. დანართი).

- **კონვერსიის ვადა**

იმ მეწარმეებისათვის, რომლებიც დაკავებული არიან მცენარეული პროდუქციის წარმოებით გათვალისწინებულია სხვახასხვა ხანგრძლივობის გარდამავალი პერიოდი, რაც დამოკიდებულია წარმოების სპეციფიკაზე და მისი ვადა განსაზღვრულია სტანდარტის მიერ.

სტანდარტით განსაზღვრულია გარდამავალი პერიოდის შემდეგი ვადები:

24 თვე დათესვამდე – ერთწლიანი და ორწლიანი კულტურებისათვის;

36 თვე მოსავლის აღებამდე – მრავალწლიანი კულტურებისათვის;

0 – ველურად მოზარდი მცენარეებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ

წრადგენილია მტკიცებულებები რომელთა მიხედვით ბიოწარმოებაში

აკრძალული საშუალებები არ გამოყენებულა შეგროვებამდე 3 წლით არდევ;

ცხოველებისათვის გარდამავალი პერიოდი შეესაბამება საძოვრებისათვის

საჭირო გარდამავალი პერიოდის ვადას.

- კონვერსიის პერიოდის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს პირველი ინსპექტირების თარიღი, რომელიც უნდა ჩატარდეს ამ პროცედურით დადგენილ პერიოდში. იმ შემთხვევაში თუ პირველი ინსპექტირების ჩატარების თარიღი დროში გადაიწევეს სხვადასხვა მიზეზების გამო (კლიმატი, ამინდი, სეზონი და სხვა), მაშინ საწარმოო ერთეულის პირველი ინსპექტირების პირობები და თარიღი დგინდება მეწარმესთან შეთანხმებით. ინდივიდუალური ვითარებიდან გამომდინარე გარდამავალი პერიოდის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულების გაფორმების ან განაცხადის შემოტანის თარიღიც.

გარდამავალი პერიოდის რეტროაქტიული აღიარების პირობების ნუსხა მოცემულია “გრინ კაუკაზუსის” სტანდარტში. აღნიშნული საკითხი გამჭვირვალეა და მიეწოდება მეწარმეს. შესაბამისად მეწარმემ უნდა მოამზადოს და წარადგინოს ყველა აღნიშნული თავალსახინოება ინსპექტირებისა და სერტიფიცირების პროცესში.

ყოვრღწლიური ინსპექტირება ტარდება წელიწადში ერთხელ, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში და მას შემდეგ რაც მეწარმეზე გაცემულია ბიოსერტიფიკატი. სტანდარტის მიხედვით ერთწლიანი და ორწლიანი კულტურებისათვის ბიოსერტიფიკატის გაცემა ხდება 24 თვის მერე პირველ დათესილ მოსავალზე, მრავალწლიანი კულტურებისათვის 36 თვის მერე პირველ მოსავალზე, იმ შემთხვევაში თუ დაცულია სტანდარტების მოთხოვნები (დეტალებისთვის იხ. დანართი). მეფუტკრეობაში ბიოსერტიფიკატის გამოწერა შესაძლებელია ფიჭის ჩანაცვლების მერე (როგორც ეს მოთხოვნილია სტანდარტის მიერ)

ზედამხედველობა და დამატებითი ინსპექტირება, გაუფრთხილებელი ინსპექციების ჩათვლით, ტარდება შეუსაბამობების აღმოჩენისას.

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 3-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	------------------

გაუფრთხილებელი ინსპექტირება ტარდება წლის განმავლობაში, რათა შემოწმდეს მეწარმის საწარმოო ერთეული და მნიშვნელოვანი/სპეციფიკური საკითხები. ასეთი სახის ინსპექტირებების ჩატარების საკითხი განხილულია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სერტიფიცირების ორგანოსა და მეწარმეს შორის (დეტალებისთვის იხ. დანართი).

დამატებითი ინფორმაცია მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ

- ინსპექტირების გადადება ან გაუქმება**

ინსპექტირების გეგმა უნდა განხილულ იქნეს და შემუშავდეს განმცხადებელსა და სერტიფიცირების ორგანოს შორის. იმ შემთხვევაში თუ მეწარმე მოითხოვს ინსპექტირების გადადებას, გაუქმებას ან ინსპექტირების გეგმის შეცვლას, მაშინ მან უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და შეატყობინოს ამის შესახებ სერტიფიცირების ორგანოს, ინსპექტირებამდე 30 დღით ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში სერტიფიცირების ორგანო იტოვებს უფლებას გადაახდევინოს მეწარმეს ერთი ინსპექტირების საფასური, რათა დაფაროს ადმინისტრაციული ხარჯები.

- ინსპექტირების პროცესის დროზე ადრე შეწყვეტა**

იმ შემთხვევაში თუ ინსპექტირების პროცესი შეწყდება განმცხადებლის დაუინებელი მოთხოვნით, მაშინ ინსპექტირების ხარჯი ანაზღაურებული უნდა იქნეს მის მიერ.

2. სერტიფიცირება: სერიფიკატის გაცემა, გახანგრძლივება, ვადის გასვლა და ჩამორთმევა.

ინსპექციის დადებითი შედეგზე დაყრდნობით, სერტიფიცირების ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საწარმოსათვის (რომელიც განსაზღვრულია განაცხადში და საწარმოს მართვის გეგმაში) ბიოსერტიფიკატის გაცემის შესახებ (დეტალებისთვის იხ. დანართი).

სერტიფიკატის განახლება ხდება ყოველ წელს ან შეიძლება მისი მოქმედების ვადის გახანგრძლივება წლიური ინსპექტირების დადებით შედეგზე დაყრდნობით.

თუ დაფიქსირებულ იქნა შეუსაბამობა ან სტანდარტის დარღვევა სერტიფიცირების ორგანოს უფლება აქვს შეაჩეროს სერტიფიკატის მოქმედება ან ჩამოართვას ის მეწარმეს.

3. ტარიფი და მომსახურების საფასური, რომელსაც სერტიფიცირების ორგანო თავაზობს მეწარმეს შეიძლება იქნეს გადახდილი ორგანოზაციის შიდა აუდიტის საფუძველზე ან ზოგადი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე. ინფორმაცია ტარიფების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის.

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 4-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	------------------

4. მეწარმის ვალდებულებები

მეწარმეს გააჩნია შემდეგი ვალდებულებები:

- შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან;
- უზრუნველყოფის სერტიფიცირების და მისი აკრედიტაციის ორგანოსათვის წარმომადგენლისათვის ხელმისაწვდომობა ყველა დოკუმენტაციაზე (ფინანსური დოკუმენტაციის ჩათვლით), პერსონალზე, ობიექტსა და წარმოების პუნქტზე, რომელსაც გააჩნია პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი ბიოსაწარმოსთან.
- სერტიფიცირების ორგანოსათვის ყველა იმ ცვლილებების შეტყობინება, რომელსაც ადგილი აქვს საწარმოო ერთეულში ან სხვა ქმედების შესახებ, რომელმაც შეიძლება იქონიოს ზეგავლენა სერტიფიცირების პროცესზე. მაგ: ცვლილება მესაკუთრეობაში, მენეჯმენტში, პროდუქციის მომწოდებლებში ან სხვა.
- სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში შემდეგი სახის ქმედებები უნდა გატარდეს: პროდუქტიდან იმ მინიშნების დაუყოვნებელი მოშორება, რომელიც მიუთითებს ბიოსერტიფიცირებაზე. არ უნდა მოხდეს ლოგოს, ნიშანდების, სერტიფიკატის და სხვა მინიშნების გამოყენება, რომელიც მიუთითებს საწარმოს ან პროდუქტის ბიოსტატუსზე.
- სერტიფიცირების ორგანოსათვის, ყველა იმ ცვლილების შეტყობინება, რომელიც კავშირშია სერტიფიცირებასა და შემოწმების სისტემასთან და რომელსაც შეუძლია იქონიოს გავლენა მეწარმესა და სერტიფიცირების ორგანოს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე.

ეს ინფორმაცია მომზადებულია მეწარმისათვის და სერტიფიცირების ორგანო მზად არის მის განსახილველად მეწარმესთან. იმ შემთხვევაში თუ მეწარმისათვის მისაღებია სერტიფიცირების ორგანოს მიერ შემოთავაზებული მომსახურება, მაშინ მას შეუძლია შეავსოს განაცხადის ფორმა და მიმართოს სერტიფიცირების ორგანოს (დეტალებისთვის იხ. დანართი).

სერტიფიცირების პროცესის დროს მეწარმის შესახებ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა რეგულირდება კონტრაქტით.

დირექტორი _____
სერტიფიცირების ორგანოს დასახელება

სახელი, გვარი, ხელმოწერა

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 5-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	------------------

გრინ კაუკაზუსის სერტიფიცირების სისტემა



შპს “კავკასსერტი” არის კერძო კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

შპს “კავკასსერტი” შეიმუშავა ხარისხის და სერტიფიცირების სისტემა, ასევე შემუშავებულ იქნა “სტანდარტი ბიოპროდუქციის წარმოების, გადამამუშავების, ნიშანდების და გასაღების შესახებ” და შეთანხმდნენ, რომ მეწარმესთან მუშაობისას მოხდეს ამ სისტემის გამოყენება.

კომპანიამ დაარეგისტრირა “გრინ კაუკაზუსის” სავაჭრო ნიშანი და იყენებენ მას სერტიფიცირების და ხარისხის სისტემის, ასევე სტანდარტის იდენტიფიცირებისათვის.

გრინ კაუკაზუსის “სტანდარტი ბიოპროდუქციის წარმოების, გადამამუშავების, ნიშანდების და გასაღების შესახებ” შეესაბამება ევრორეგულაციების (Regulation (EC) No. 834/2007 და Regulation (EC) No 889/2008), No 1235/2008, კოდექს ალიმენტარიუსის (Codex Alimentarius) და IFOAM-ის მოთხოვნებს, ხოლო სერტიფიცირების პროცესი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, რაც საშუალებას აძლევს მეწარმეს გაასაღოს თავისი პროდუქტი სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე მათ შორის ევროგაერთიანების ქვეყნებში.

თვითოველი კომპანია, რომელიც იყენებს “გრინ კაუკაზუსის” სისტემას და სტანდარტს არის დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში მეწარმესთან და ბიოპროდუქციის ბაზართან დაკავშირებით. სერტიფიცირების ორგანოების მიერ “გრინ კაუკაზუსის” სავაჭრო ნიშნით გაცემულ სერტიფიკატებს აქვთ დამოუკიდებელი იურიდიული ძალა.

- DAkKS-ის მიერ აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანო კავკასსერტის მიერ გაცემული სერტიფიკატი აღიარებულია ევროპის ბიოპროდუქციის ბაზარზე. სერტიფიცირებული პროდუქცია ბაზარზე იყიდება შემდეგი ნიშანდებით: „ბიოლოგიური“, „ორგანული“, „ეკოლოგიური“ და სხვა.
- კავკასსერტი შეტანილია ევროგაერთიანების მიერ მომზადებულ ექვივალენტური სერტიფიცირების ორგანოების სიაში. აღნიშნული სია გამოქვეყნებულია ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე:
http://ec.europa.eu/agriculture/ofis_public/rCBE/ctrl_rcbe.cfm?targetUrl=home&lang=en
- კავკასსერტი ბიოსერტიფიცირების სისტემა ასევე აღიარებულია შვეიცარიის მიერ

სტანდარტების მიღება შესაძლებელია გრინ კაუკაზუსის ვებგვერდზე: www.caucascert.ge ან ამობეჭდილი სახით სერტიფიცირების ორგანოს ოფისში.

ინფორმაცია სერტიფიცირებული ორგანიზაციების, მეწარმეების და პროდუქტების შესახებ არის საჯარო და მისი მიწოდება ხდება მოთხოვნის შესაბამისად. მეწარმეს შეუძლია მოითხოვოს ეს ინფორმაცია სერტიფიცირების ორგანოსაგან ან ნახოს ის კომპანიის ვებგვერდზე.

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 6-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	------------------

Green Caucasus	ინფორმაცია სერტიფიცირების შესახებ Information of Certification	კოდი/Code: GC/DM/IC-10.8
----------------	---	-----------------------------

საწარმოო ერთეულის აღწერა

- საწარმოო ერთეულის აღწერა არის ბიოსერტიფიცირების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი. იმისათვის, რომ ჩატარდეს პირველი ინსპექტირება აუცილებელია არსებობდეს სასერტიფიკაციო საწარმოო ერთეულის დეტალური აღწერა, მომზადდეს დეტალური სქემა ან რუკა და დაერთოს განაცხადს.
- მეწარმემ უნდა შეავსოს განაცხადის ფორმა, საწარმოო ერთეულის აღწერის ფორმა (მიწოდებული სერტიფიცირების ორგანოს მიერ) და მიმართოს სერტიფიცირების ორგანოს სასერტიფიკაციო მომსახურების მისაღებად. განაცხადს უნდა დაერთოს საწარმოო ერთეულის რუკა ან სქემა, ლეგალური სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საკუთრების, იჯარის ან სხვა). სერტიფიცირების ორგანოს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.
- განაცხადის და დოკუმენტაციის შეფასების დადებითი შედეგისას, ხდება ხელშეკრულების გაფორმება სერტიფიცირების ორგანოსა და მეწარმეს შორის და დგინდება პირველადი ინსპექტირების თარიღი.

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 7-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	------------------

პირველადი ინსპექტირება

- როგორც წესი პირველი ინსპექტირება ტარდება განაცხადის გაკეთებიდან ერთი თვის განმავლობაში.
- პირველი ინსპექტირების დროს ხდება საწარმოო ერთეულის აღწერის (წარმოების გეგმის) სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ასევე ტარდება საწარმოს ყველა ნაწილის, საწყობის, ტრანსპორტის, პერსონალის მიერ ბიოწარმოების წესების ცოდნის, დოკუმენტაციის და ჩანაწერების სისტემის ინსპექტირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა. პირველი ინსპექტირებისას ასევე ტარდება საწარმოში მიკვლევადობის შემოწმება. ფიქსირდება ის შეუსაბამობები, რომელთა გამოსწორება უნდა მოხდეს მომავალში.

შემდგომი წლიური ინსპექტირებები

- მეწარმემ უნდა შეატყობინოს სერტიფიცირების ორგანოს ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელსაც ადგილი ქონდა საწარმოო ერთეულში არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 მარტისა.
- საწარმოო ერთეულის შემოწმება უნდა მოხდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ რათა უზრუნველყოფილი იყოს უწყვეტი შესაბამისობა სტანდარტების მოთხოვნებთან.
- იმ შემთხვევაში თუ საწარმოო ერთეულში ადგილი აქვს ცვლილებებს, მაშინ მეწარმემ უნდა წარადგინოს საწარმოო ერთეულის განახლებული წარმოების გეგმა, რათა მოხდეს შემდეგი ყოველწლიური ინსპექტირების მომზადება.
- ყოველწლიური დაგეგმილი ინსპექტირების გარდა შესაძლებელია ჩატარდეს დაუგეგმავი ინსპექტირება, მეწარმის წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ინსპექტირების შედეგები აისახება ინსპექტირების ანგარიშში. ანგარიშში მითითებულია აღმოჩენილი შეუსაბამობები და მათი გამოსწორების (მაკორექტირებელი) ქმედებები.
- ინსპექტორი იმის დასადასტურებლად, რომ ინსპექცია ჩატარდა, ასევე მეწარმისაგან ინსპექტირების შედეგებზე დასტურის მისაღებად ორ ეგზემპლარად ავსებს საბოლოო გამოკითხვის ფორმას, რომელსაც ხელს აწერს ინსპექტორი და მეწარმე. ერთი ეგზემპლარი რჩება მეწარმეს, ხოლო მეორე გადაეცემა სერტიფიცირების ორგანოს.

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 8-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	------------------

მიკვლევადობა: დოკუმენტაცია და ჩანაწერები

ყველა მონაცემი, რომელსაც უნდა მიეძღვოს ყურადღება უნდა იყოს დოკუმენტირებული და რეგისტრირებული საწარმოს მიერ. ამ საკითხის დამატებით ახსნა მეწარმისთვის შესაძლებელია მისი მოთხოვნის შესაბამისად.

უნდა არსებობდეს შემდეგი ინფორმაცია სასერტიფიკაციო ობიექტში არსებულ წარმოების სისტემის შესახებ:

- საკონვერსიო მიწის ნაკვეთებისათვის: მიწის აგროქიმიკატებით დამუშავების პრაქტიკა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, იმ სინთეზური სასუქების და საშუალებების გამოყენება, რომელიც აკრძალულია სტანდარტით.
- რა კულტურების მოშენება ხდება და რა ფართობზე. რა ცხოველები მეურნეობაში და რა რაოდენობით. რა სახის და რა რაოდენობის პროდუქციის წარმოება ხდება სეზონურად.
- ნაკვეთებში ნიადაგის გასანოყიერებლად გამოყენებული ორგანული და მინერალური სასუქების წარმომავლობა, შემადგენლობა და გამოყენების სიხშირე.
- მავნებლების და დაავადებების კონტროლისათვის გამოყენებული საშუალებების წარმომავლობა, შემადგენლობა და გამოყენების სიხშირე.
- ყველა იმ საშუალების წარმომავლობა, სტატუსი და რაოდენობები (ბიო თუ არაბიო), რომლის გამოყენება ხდება საწარმოო ერთეულში (სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება მოითხოვოს საწარმოსგან ხელმოწერილი დადასტურება, იმისა რომ მის მიერ გამოყენებული პროდუქტი არ შეიცავს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს ან მათგან მიღებულ პროდუქტებს).
- დეტალური ინფორმაცია გადასამუშავებელი პროდუქტის და მისი რაოდენობების შესახებ, ყუთების და პარტიის ნომერი, რაც იძლევა ინგრედიენტის მიკვლევადობის საშუალებას წარმოების მთელი პროცესის მანძილზე, პროდუქტის მიღებიდან მის გამგზავრებამდე.
- სად მოხდა სერტიფიცირებული პროდუქციის გასაღება, გასაღებული პროდუქციის დასახელება და რაოდენობა, პროდუქციის შემსყიდველის ან მიმღების ვინაობა.
- ჩანაწერები საწარმოში შემოსული და გასული საშუალებების აღრიცხვის, საკუთარი მეურნეობაში მოწეული პროდუქციის, გასაღებული და საწყობში არსებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ.
- მეცხოველეობასა და მეფუტკრეობაში: ცხოველების აღრიცხვის დეტალური ჩანაწერები. რაც იძლევა ინფორმაციას საწარმოში შემოსული ცხოველების, მათი სახეობის, მათი წარმომავლობის, შემოსვლის თარიღის, ბიოსტატუსის, გარდამავალი პერიოდის და მკურნალობის დეტალების შესახებ. ასევე ეს ჩანაწერები იძლევა მონაცემებს საწარმოდან გასული ცხოველების, მათი ასაკის, წონის (დაკვლის შემთხვევაში), ნიშანდების და დანიშნულების შესახებ. ასევე უნდა ხდებოდეს ჩანაწერების წარმოება ცხოველების დანაკარგების შესახებ (ნებისმიერი მიზეზით).

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 9-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	------------------

- მეწარმემ უნდა აწარმოოს ჩანაწერების ნებისმიერი ვეტერინარიული საშუალების გამოყენების შესახებ, რაც მოიცავს:
 1. შექმნის თარიღს;
 2. შექმნილი საშუალების რაოდენობა და მისი აქტიური ინგრედიენტი;
 3. პროდუქტის მომწოდებელი;
 4. ნამკურნალები ცხოველების იდენტიფიცირება;
 5. ნამკურნალები ცხოველების რაოდენობა;
 6. დიაგნოზი;
 7. დოზის სიდიდე;
 8. მკურნალობის დაწყების და დამთავრების თარიღი და ჩატარების მეთოდი;
 9. სამკურნალოდ გამოყენებული პროდუქტის საერთო რაოდენობა;
 10. მოლოდინის პერიოდი;
 11. მკურნალობის შემდეგ ცხოველის პროდუქტის გასაღების დაწყების თარიღი;
 12. იმ ადამიანის სახელი და გვარი ვინც აწარმოებს პროდუქციის ზედამხედველობას.
- ინფორმაცია ცხოველების კვების (ყველა შექმნილი საკვებისა და მისი კომპონენტების შესახებ), გარეთ გასვლის პერიოდის, საკვებში კომპონენტების პროპორციები და მათი წარმომავლობა;
- ფინანსური ჩანაწერები ბიოპროდუქციის გასაღებიდან მიღებული შემოსავლებისა და შექმნილი საშუალებების შესახებ;
- ჩანაწერების წარმოება მომხმარებლისაგან მიღებული საჩივრების შესახებ, პროდუქტთან და წარმოების წესთან დაკავშირებით.
- ჩანაწერები უნდა იყოს საკმაოდ ყოვლისმომცველი რათა მოხდეს დადასტურება იმისა, რომ ხდება სტანდარტების მოთხოვნების დაცვა და მათი შენახვა უნდა მოხდეს მინიმუმ 5 წლის განმავლობაში. ასევე აუცილებელია დოკუმენტების შენახვის (მაგ. ფაილების განთავსების, მათი განახლების სისშირის) სისტემის მოკლე აღწერა.

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 10-12-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	---------------

Green Caucasus	ინფორმაცია სერტიფიცირების შესახებ Information of Certification	კოდი/Code: GC/DM/IC-10.8
----------------	---	-----------------------------

სერტიფიცირება

- ინსპექტირების შედეგები უნდა აისახოს ანგარიშში. სერტიფიცირების ორგანო ამ ანგარიშის ასლს გადასცემს მეწარმეს;
- სერტიფიცირებაზე პასუხისმგებელი პირი ანგარიშის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიცირების შესახებ. სერტიფიკატის გაცემა ხდება პროდუქტზე, იმის დადასტურებით, რომ ის წარმოებულია ბიოსაწარმოში;
- ბიოსერტიფიკატი უთითებს სერტიფიცირებულ პროდუქტებს და მათ რაოდენობებს. სერტიფიკატი ძალაშია ერთი წლის განმავლობაში;
- სერტიფიკატის დაბეჭვდა ხდება ორი ორიგინალის სახით ერთი გადაეცემა მეწარმეს მეორე კი ინახება სერტიფიცირების ორგანოში;
- თუ შეფასების შედეგი არის უარყოფითი, მაშინ შესაძლებელია სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება ან მისი ჩამორთმევა;
- სერტიფიცირების ორგანო ასევე იყენებს სანქციებს (სანქციების კატალოგის არის საჯარო) იმის მიხედვით თუ სტანდარტის ან ხელშეკრულების რა სახის დარღვევას აქვს ადგილი.

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 11-12- დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	-------------------

ნიშანდება, სავაჭრო ნიშანი

- სერტიფიცირების ორგანო ახდენს იმ სავაჭრო ნიშნის ან ლოგოს გამოყენების კონტროლს, რომელიც მიუთითებს ბიოსერტიფიცირებაზე და ბიონიშანდებაზე;
- ბიოსერტიფიკატის გაცემისას, მეწარმე იღებს უფლებას გამოიყენოს სერტიფიცირების ორგანოს სახელი, გრინ კაუკაზუსის სავაჭრო ნიშანი, ასევე გააკეთოს მითითება, რომ პროდუქტი წარმოებული ბიო საწარმოო ერთეულში, ნიშანდებაზე გამოიყენოს სიტყვები „ორგანული“, „ბიოგიური“ ან „ეკოლოგიური“. მრავალინგრედენტის პროდუქციის ნიშანდება დარეგულირებულია სტანდარტით და საჭიროებს სერტიფიცირების ორგანოს აღიარებას/თანხმობას.
- სერტიფიცირების ორგანო აწარმოებს ბიოწარმოებაზე მითითებების, სერტიფიცირების ორგანოს სავაჭრო ნიშნის, ნიშანდების, სარეკლამო მასალის, დაბეჭდილი ბუკლეტების გამოყენების კონტროლს, რომელიც კავშირშია ბიოსერტიფიცირებასთან ან ბიოწარმოებასთან.
- მწარმოებელმა, ნიშანდების მომზადებამდე/დაბეჭდვამდე უნდა მიიღოს წერილობითი თანხმობა სერტიფიცირების ორგანოსაგან მათ გამოყენებაზე. ოფიციალური ნებართვის მისაღებად მეწარმემ უნდა მიმართოს სერტიფიცირების ორგანოს.
- ევროკავშირის of EC Regulations 834/2007 and 889/2008 მოთხოვნის შესაბამისად ევროკავშირისაგან ლოგო ბიოპროდუქციისათვის (მწვანე ფოთოლი) შეიძლება გამოყენებულ იქნას კავკასიის მიერ სერტიფიცირებულ პროდუქტებზე. ევროკავშირის ბიოლოგოს გამოყენების ოფიციალური წესის მისაღებად მიმართეთ კავკასიის მიერ. ევროკავშირის ბიოლოგოს გამოყენება მეწარმის ან სხვა სუბიექტის ინტერპრეტაციით მკაცრად აკრძალულია. ასეთი სახის ქმედება შეიძლება გახდეს სერტიფიცირების ორგანოს ან ევროკავშირის მიხრიდან სანქციების საფუძველი.

შექმნა: ნ.დ. თარ: 26.07.07	განიხილა: დ.ბ; ნ.დ; ე.პ; ზ.ნ. თარ: 15.03.18	დაამტკიცა: ზ.ნ. თარ: 15.03.18	არა კონფიდენციალური	ვერსია 5	გვ: 12-12-დან
----------------------------------	---	-------------------------------------	---------------------	-------------	---------------